



უკრაინის სპეცსამსახურებმა დააკავეს სვიატოგორსკის მიძინების ლავრის წინამძღვარი, სვიატოგორსკის მიტროპოლიტი არსენი



სსკვ-ის კომუნიკაციის სამსახური, 24.04.2024. 2024 წლის 24 აპრილს უკრაინის სპეცსამსახურების წარმომადგენლებმა დააკავეს სვიატოგორსკის მიძინების ლავრის წინამძღვარი, სვიატოგორსკის მიტროპოლიტი არსენი, ხოლო თავად მონასტერი ჩაკეტეს.

„ამ დროისთვის მონასტერი ჩაკეტილია, მრევლს შიგნით არ უშვებენ. მონასტრის წინამძღვარი, სვიატოგორსკის მიტროპოლიტი არსენი, ძალოვნებმა დააკავეს და სლავიანსკში გადაიყვანეს“, – **ნათქვამია** მართლმადიდებელ ჟურნალისტთა კავშირის ვებგვერდზე გამოქვეყნებულ შეტყობინებაში.

მანამდე, 2023 წლის 23 სექტემბერს, უკრაინის პოლიციამ და სპეცსამსახურებმა **გზა გადაუკეტეს** ავტობუსებსა და ავტომობილებს, რომლებშიც მომლოცველები ისხდნენ; ისინი სვიატოგორსკის ლავრაში მიდიოდნენ ყოველთა ღირსთა მამათა დონეცის წმინდა მთებში გაბრწყინებულთა კრების დღესასწაულზე.

ეკლესიის საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის სინოდალურმა განყოფილებამ **განცხადება** გაავრცელა სვიატოგორსკის ლავრის წინამძღვრის დაკავებასთან დაკავშირებით და საერთაშორისო უფლებადამცველ ორგანიზაციებს მოუწოდა, მიიღონ აუცილებელი ზომები რელიგიური თავისუფლების დარღვევის მორიგი ფაქტის გასაჯაროებლად.

„უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის მორწმუნეთა უფლებების დარღვევამ მასიური და დაუფარავი ხასიათი მიიღო, მათი მსხვერპლი ხდებიან სასულიერო პირები და ერისკაცები, რომელთა დანაშაული მხოლოდ ის, რომ მათ არ სურთ შეუერთდნენ კვაზირელიგიურ სტრუქტურას, სახელწოდებით „უკრაინის მართლმადიდებლური ეკლესია“, რომელიც შექმნა უკრაინის სახელმწიფომ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს მხარდაჭერით“, – ნათქვამია განცხადებაში.

წყარო: <https://mospat.ru/ge/news/91693/>